

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი საქმიანობა	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ფული და ფულის ექვივალენტები	10
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
6. ძირითადი საშუალებები	12
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
8. საგადასახადო ვალდებულებები	13
9. მიღებული სესხები	14
10. შემოსავალი	14
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	15
14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	15
15. ფინანსური ხარჯი- წმინდა	15
16. იჯარა	15
17. კაპიტალი	15
18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		585,488	499,434
ძირითადი საშუალებები	6	585,488	499,434
საინვესტიციო ქონება		-	-
მოკლევადიანი აქტივები		3,117,801	2,004,159
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	168,382	549,688
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,994,620	816,710
მარაგები	5	952,930	637,738
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		1,870	23
მთლიანი აქტივები		3,703,289	2,503,593
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,493,430	931,193
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი კაპიტალი		2,493,430	931,193
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,209,859	1,572,400
მოკლევადიანი სესხები	9	-	480,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,022,466	936,935
საგადასახადო ვალდებულებები	8	187,393	117,871
გადასახდელი პროცენტი		-	37,595
გადასახდელი დივიდენდი		-	-
მთლიანი ვალდებულებები		1,209,859	1,572,400
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,703,289	2,503,593

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი



შპს მაქს იმპორტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ამონაგები	10	13,942,554	8,017,076
თვითღირებულება	11	(11,253,728)	(6,524,937)
საერთო მოგება		2,688,826	1,492,139
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(302,683)	(105,856)
მიწოდების დანახარჯები	13	(728,883)	(311,377)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(7,019)	(11,859)
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		1,650,240	1,063,048
ფინანსური შემოსავალი		36,938	460
ფინანსური ხარჯი		(14,415)	(31,101)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		22,523	(30,641)
მოგება დაბეგვრამდე		1,672,764	1,032,407
მოგების გადასახადი		(5,263)	(5,263)
წმინდა მოგება		1,667,501	1,027,144
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,667,501	1,027,144

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი



შპს მაქს იმპორტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	-	0	9,312	9,312
წმინდა მოგება	-	-	1,027,144	1,027,144
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,027,144	1,027,144
გაცემული დივიდენდი	-	-	(105,263)	(105,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	931,192.71	931,193
წმინდა მოგება	-	-	1,667,501	1,667,501
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,667,501	1,667,501
გაცემული დივიდენდი	-	-	(105,263)	(105,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,493,430	2,493,430

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი



შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

მაქს იმპორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018 წელი	2017 წელი
დავით ზურაბიშვილი	100%	100%

კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს. არსებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის პირველი, რომელიც კომპანიამ მოამზადა. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2018 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2018 წელს გამოიმუშავა 1 667 501 ლარი წმინდა მოგება (2017 წელს 1 027 144 ლარი). 2018 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნაწილში ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (განგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშალო შეწონილის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული	144,488	4,683
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	23,894	545,004
სულ	168,382	549,688

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასაარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	854,655	737,695
გადახდილი ავანსები	464,339	35,318
მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან	623,000	40,000
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	52,627	3,698
სხვა მოთხოვნები		
სულ	1,994,620	816,710

მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან მოიცავს არადაკავშირებულ კომპანიაზე გაცემულ მოკლევადიან სესხს განაკვეთით 11,3 %.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული და მასალები	814,818	583,148
დაუმთავრებელი წარმოება	138,112	54,589
მზა პროდუქცია	-	-
სულ	952,930	637,738

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავტო და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	-	-	391,593	1,093	131,303	523,989
შემოსვლა	-	-	-	3,440	140,483	143,923
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	391,593	4,533	271,786	667,912
ცვეთა და გაუფასურება						-
31 დეკემბერი 2017	-	-	19,580	33	4,943	24,555
პერიოდის ცვეთა	-	-	39,166	547	18,155	57,869
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	58,746	581	23,098	82,424
წმინდა საბალანსო ღირებულება						-
31 დეკემბერი 2017	-	-	372,014	1,060	126,360	499,434
31 დეკემბერი 2018	-	-	332,847	3,953	248,688	585,488

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,022,178	936,535
მიღებული ავანსები	288	400
სულ	1,022,466	936,935

8. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება		
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	353	
საშემოსავლო გადასახადები		175
დღგ	183,813	84,765
ქონების გადასახადი	2,927	2,497
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში		30,434
საბაჟო გადასახადები	300	
სულ	187,393	117,871

9. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი		
საბანკო სესხები	-	150,000
სხვა სესხი არასაბანკო	-	330,000
სულ სესხები	-	480,000

კომპანიას მოკლევადიანი სესხები დაფარული აქვს 2018 წლის განმავლობაში და 2018 წლის ბოლოს სასესხო დავალიანება არ უფიქსირდება.

სხვა სესხი არასაბანკო - აღებულია 12 %-იანი განაკვეთით.

10. შემოსავალი

	2018 წელი	2017 წელი
საქონლის გაყიდვა	13,942,554	8,015,599
მომსახურების გაწევა	-	1,477
სულ	13,942,554	8,017,076

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, აგრეთვე თანამშრომელთა შრომის პირდაპირ დანახარჯებს, საწვავს, ელექტრო ენერგიას.

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ძირითადი საშუალებების ცვეთას, სხვა საგადასახადო ხარჯებს და სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 75 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე და შრომის ანაზღაურებას.

14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობა/ზარალი უკავშირდება მხოლოდ საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს.

15. ფინანსური ხარჯი- წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი უკავშირდება გაცემული და მიღებული სესხების პროცენტებს.

16. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას